მემორანდუმი

პარტნიორულ თანამშრომლობაზე

რჟგოვის მუნიციპალიტეტსა და ონის მუნიციპალიტეტს შორის

ჟგოვის მუნიციპალიტეტი, ვიელიკოპოლსკის კონინის ოლქი პოლონეთის რესპუბლიკაში და ონის მუნიციპალიტეტი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, საქართველო, დარწმუნებული ვართ, რომ საერთაშორისო კონტაქტები და თანამშრომლობა ქმნის კარგ პირობებს პოპულარიზაციისთვის, პოზიტიური პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლისთვის, ორივე ადგილობრივი ხელისუფლება აპირებს დადოს მეგობრული პარტნიორული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც დამტკიცებულია ორივე შესაბამისი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ და დაფუძნებულია საქართველოსა და პოლონეთს შორის, მეგობრობის ტრადიციულ კავშირებზე, ითვლის საუკუნეებს და ცდილობს დაამყაროს ლეგიტიმური და თანაბარი საერთაშორისო პარტნიორობა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას მუნიციპალიტეტებს შორის, სხვა და სხვა სფეროში და დებენ ნამდვილ ხელშეკრულებას:

მუხლი 1

შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში, მხარეებმა უნდა ჩამოაყალიბონ და ხელი შეუწყონ ორი რეგიონის მიზნებისა და საჭიროებების ჰარმონიულ დინამიურ განვითარებას.

მხარეები აპირებენ ხელი შეუწყონ ადგილობრივი მართვის ორგანოების დონეზე, დაინტერესებულ დეპარტამენტებს, დელეგაციების და ექსპერტების გაცვლას, ორი რეგიონის სოციალურ ეკონომიკური თანამშრომლობას განვითარების მიზნით.

მუხლი 2

შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში, მხარეები აპირებენ ხელი შეუწყონ ორმხრივი ეკონომიკური, სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარებას, ამ მიზნით შექმნან ხელსაყრელი კომერციული ატმოსფერო მათი მეწარმეებისთვის, ასევე პირობები ორი რეგიონის საწარმოებს შორის საქმიანი კავშირების დამყარებისათვის.

მუხლი 3

მხარეები აპირებენ სოციალურ და კულტურულ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურებას და მათ ტერიტორიაზე ხელსაყრელი და უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნას, ასევე ყოვლისმომცველ მხარდაჭერას გაუწევენ თავიანთი რეგიონებში მოქმედ ასოციაციებს კულტურის და ახალგაზრდების სფეროში თამშრომლობის განხორციელებას.

პოლონეთის რესპუბლიკის კონინის ოლქი და საქართველოს რაჭა, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის მხარეები, დარწმუნებულნი არიან, რომ საერთაშორისო კონტაქტები და თანამშრომლობა კარგ პირობებს ქმნის ორ ადგილობრივ მთავრობას შორის პოზიტიური პრაქტიკისა და გამოცდილების გაცვლისთვის.

- მუნიციპალური მენეჯმენტი

- განათლება და კულტურა

- ადამიანის ბუნებრივი გარემოს დაცვა

- ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება

- ტურიზმი და აგრო-ტურიზმი

- ეკონომიკური და ბიზნესის ხელშეწყობა

- სპორტი

- ახალგაზრდული საქმიანობები

- საჯარო დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა

- საზოგადოებრივი ჯანდაცვა

- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა

მუხლი 4

ეს შეთანხმება ორ კოლეგიალურ დუბლიკატად არის გაფორმებული, თითოეული- ქართულ, პოლონურ და ინგლისურ ენოვან ვერსიებში.

გუგეგოჟ მატუშაკი	ხიდეშელი სერგო
ჟგერის მუნიციპალიტეტის თავჯდომარე	ონის მუნიციპალიტეტის მერი

ონის მუნიციპალიტეტი, 05 ოქტომბერი 2022 წელი